საქართველო
ადგილობრივი თვითმმართველობა
აბაშის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ10. 10230167**

თარიღი:**16/01/2023**

აბაშის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებები და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54 -ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ე.ე" და "ე.ი" ქვეპუნქტების, 85^3 მუხლის 1-ლი პუნქტის "ბ" და "თ" ქვეპუნქტების, 854 მუხლის 1-ლი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილებით დამტკიცებული "საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების" 1-ლი მუხლის მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500- ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩეველებთან კონსულტაციები დანართით განსაზღვრულ თარიღებში;
2. მერიის ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოს მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში;
3. თითოეულ დასახლებაში განსახორცილებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს დანართის მიხედვით;
4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09:00 -დან 18:00 საათამდე, 2023 წლის 29 იანვრამდე;
5. მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს დასახლებებში საერთო კრებებისა და კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება და საინფორმაციო მხარდაჭერა.
6. დასახლების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელიპროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა;
7. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

- მირზა ქვილითაია - ურბანული განვითარების განყოფილების უფროსი – mirzaqvilitaia@gmail.com - 599855794;
- ლეონტი ნადარეიშვილი - ინფრასრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი - gabelaiaxvicha@gmail.com - 599854704;
- ხვიჩა გაბელაია ინფრასრუქტურის განვითარების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – gabelaiaxvicha@gmail.com - 599855793;
- მერის წარმომადგენლები შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში;

8. პროცესის საერთო ხელმძღვანელობა დაევალოს გიგლა ჯვარელიას - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს;
9. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი რუსთაველის ქ # 247) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიგა გაბელაია

აბაშის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი